

რეფორმები სახელმწიფოში: ეკონომიკური VS პოლიტიკური

თამთა მოხევიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა მოხევიშვილი

26.06.2019

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში უამრავი წარმატებული ეკონომიკა გვხვდება, რომელნიც სხვადასხვა პერიოდში, განსხვავებული მეთოდებითა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური ნაბიჯებით განვითარდნენ და დღეს წამყვან ეკონომიკებად და ფინანსურად წელში გამართულ სახელმწიფოებად მიიჩნევიან. მათ შორის არის ერთი მხრივ, აზიის ოთხი სახელმწიფო, რომელნიც 1960-1990-იან წლებში სწრაფი ეკონომიკური ზრდით გამოირჩეოდნენ და ისეთი ფინანსური სასწაული მოახდინეს, რომ 50 წლის შემდეგაც არ შეუჩერებიათ ეკონომიკური ზრდა და დღემდე ყველაზე წარმატებულ რეფორმატორებად მიიჩნევიან. აღნიშნული ქვეყნების სიაში გახლავთ სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონგ-კონგი და სინგაპური. მეორე მხრივ კი არაბული სამყარო ისეთი მონარქიული სახელმწიფოთი, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საემიროები, რომლის შემადგენლობაშიც შედის აბუ დაბი, დუბაი, რას ალ ხაიმა, შარჯა, ფუჯაირა, აჯმანი და უმმ ალ ქუვაინი. წინამდებარე კვლევა კი თქვენს ყურადღებას სინგაპურისა და დუბაის მაგალითებზე ამახვილებს და ყველა იმ ფაქტორს თუ მოვლენას ასახავს, რომლის წყალობითაც სინგაპურიც და დუბაიც, ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქალაქ-სახელმწიფოებია.

ძირითადი ფაქტორები, რამაც ეს ორი ქალაქ-სახელმწიფო ძალიან დაბალი ეკონომიკური განვითარებიდან, საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ განვითარებამდე მიიყვანა და დიდი ფინანსური ნახტომის გაკეთების შესაძლებლობა მისცა, გახლდათ დაბალი გადასახადები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რამაც ორივე მათგანს დიდი კაპიტალის დაგროვებაში შეუწყო ხელი.

ძირითადი სიტყვები: *ეკონომიკური განვითარება, ქალაქ-სახელმწიფო, პოლიტიკური ცვლილებები, ინვესტიციები, სამთავრობო კონტროლი, გადასახადები.*

Abstract

In a modern world, we meet various successful economics which developed in different times, with different methods and political or economical steps and today they are regarded as leading economics and financially supported countries. One of them, on the one hand, are four Asian Countries which in 1960-1990s were distinguished with rapid economic growth and made such a financial miracle that even after 50 years have not stopped economic growth and still are regarded as most successful reformers. These countries are: South Korea, Taiwan, Hong-Kong and Singapore. And on the other hand, Arabian world with monarchist country like United Arab Emirates which consists of Abu Dhabi, Dubai, Ajman, Fujairah, Ras Al Khaimah, Sharjah and Umm Al Quwain. The following academic research draws your attention on the examples of Singapore and Dubai and reflects all the factors and phenomenon which created Singapore as well as Dubai as one of the most developed and economically supported city-states.

Main factors, which moved these two city-states from the lowest economic development to the highest ones and gave them opportunity to make great financial jump, were low taxes and direct foreign investments, what helped them to accumulate capital.

Key words: *Economic development, city-state, political changes, investments, governmental control, taxes.*